



საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	კულტურის მენეჯმენტი
განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების პირველი საფეხური/ბაკალავრიატი
კვალიფიკაცია მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	მენეჯმენტის ბაკალავრი BACHELOR OF MANAGEMENT
პროგრამის მოცულობა ECTS	240 კრედიტი: 1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ. სპეციალობის ძირითადი კურსები - 125 კრედიტი. საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 40 კრედიტი. საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები - 15 კრედიტი. დამატებითი minor სპეციალობა/არჩევითი კურსები/ბლოკები - 60 კრედიტი. სწავლება - 8 სემესტრი. 1 სემესტრი - 15 სასწავლო კვირა; 4 სასესიო კვირა.
სწავლების ენა	ქართული
სწავლის ღირებულება	1800 ლარი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	პროგრამაზე ჩაირიცხებიან სრული ზოგადი განათლების მქონე პირები, რომლებმაც ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები.
პროგრამის მიზანი	<p>კულტურის მენეჯმენტის უმაღლესი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ქვეყნის, რეგიონისა და ზოგადად საზოგადოების ინტერესების შესატყვისი კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ როგორც ზოგადად მართვის, ისე კულტურის სფეროსა და მისი მართვის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, კულტურის სფეროში კრეატიული და ნოვატორული იდეების გენერაციისა და რეალიზაციის, დარგში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ადეკვატური შეფასებისა და სათანადო დასკვნების ჩამოყალიბების უნარები; კულტურის/ხელოვნების დაწესებულებების სხვადასხვა რგოლის მართვის, კვლევებისა და დარგობრივი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების უნარ-ჩვევები და პროგრამის ათვისების შედეგად მიღებული როგორც დარგობრივი/პროფესიული, ასევე ზოგადი კომპეტენციებით ორიენტირებულნი იქნებიან შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნებზე.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც ზოგადი თეორიული კურსები, რომლებიც ავითარებს მომავალი სპეციალისტის საბაზო მენეჯმენტისა და ეკონომიკურ განათლებას, ასევე თეორიულ-პრაქტიკული კურსები, რომლებიც უზრუნველყოფს განათლებას კულტურის მენეჯმენტის სფეროში. სტუდენტები შეისწავლიან მენეჯმენტის, მარკეტინგის, ბიზნესის საფუძვლებს, ეკონომიკის პრინციპებს, ადამიანური რესურსების მართვის თავისებურებებს, მეთოდებს, ფუნქციებს და სხვ; შეიძენენ საბაზისო ცოდნას კულტურის სფეროს მიმართულებების მართვაში. პროგრამა ინტერდისციპლინარულია და მასში გაერთიანებული სასწავლო კურსები ისწავლება როგორც ისტორიული ეპოქების მიხედვით, ასევე თანამედროვე მიმდინარეობებისა და მოთხოვნების კონტექსტში.</p> <p>პროგრამა ორიენტირებულია კულტურის/ხელოვნების დაწესებულებების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის ცოდნისა და კულტურის მენეჯერის პროფესიის უნარ-ჩვევების შეძენაზე, რათა კურსდამთავრებულმა შეძლოს ორგანიზაციულ მართვაში ასისტირება, კვლევაში მონაწილეობა, შედეგების გაანალიზება ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით და კულტურის სფეროს თანამედროვე სტანდარტებით მართვა. პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტის ინდივიდუალური ანალიტიკური</p>

	<p>უნარების ფორმირებას და განვითარებას.</p> <p>ბაკალავრის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის კურსის გავლა, ასევე, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შესრულება. კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს მიენიჭება მენეჯმენტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</p> <p>კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალურობა განპირობებულია ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრინციპების, კულტურის/ხელოვნების დაწესებულებების, კულტურული ტურიზმის განვითარების, კულტურის მენეჯმენტის სპეციალისტთა კადრების სიმცირითა და მომზადების აუცილებლობით. საბაკალავრო პროგრამის განხორციელებით, სამომავლოდ შესაძლებელი იქნება კულტურის/ხელოვნების დაწესებულებებში არსებული კადრების დეფიციტის ეტაპობრივად დაძლევა. კურსდამთავრებულებს, აგრეთვე, ექნებათ ცოდნა ბიზნეს-ორგანიზაციების (სახელმწიფო, კომერციული და არაკომერციული სუბიექტები, საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვ.) ეკონომიკური გარემოსა და მათი მართვის საფუძვლების შესახებ და შეძლებენ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. შესაბამისად, შეძლებენ ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას ბაკალავრისათვის დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.</p> <p>პროგრამის მიზანი სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, რომელიც გულისხმობს: ქვეყნის, რეგიონისა და საზოგადოების ინტერესების შესატყვისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას; ქართული კულტურისა და ხელოვნების სფეროს მაღალკვალიფიციური კადრებით აღჭურვას; სტუდენტის პიროვნული პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობასა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით; სტუდენტთა ორიენტირებას ეროვნული ტრადიციების დაცვაზე, სამოქალაქო საზოგადოებისა და ჰუმანიზმის იდეალების განვითარებაზე.</p>
<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40% (0-40 ქულა).</p> <p>სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება.</p> <p>დასკვნითი გამოცდა: მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“). სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება, თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან:</p> <p>დადებითი შეფასება:</p> <p>(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;</p> <p>ორი სახის უარყოფითი შეფასება:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>სტუდენტი „ჩაიჭრა“ შეფასებას დებულობს აგრეთვე:</p> <p>ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;</p> <p>ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.</p>

	<ul style="list-style-type: none"> • FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დანიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. • შეფასების კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში • შუალედური გამოცდების ჩატარების დრო განისაზღვრება სემესტრის დასაწყისში და განთავსდება სასწავლო ცხრილთან ერთად, ხოლო დასკვნითი გამოცდის შესახებ ინფორმაცია მოწოდებული იქნება სასესიო პერიოდის დაწყებამდე 2 კვირით ადრე. • დაუშვებელია პლაგიატი.
პროგრამის ხელმძღვანელი	ხელმძღვანელი: ერმილე მესხია - პროფესორი. თანახელმძღვანელი: სოფიო თავაძე - ასოცირებული პროფესორი;

სასწავლო პროცესების სტრუქტურა

კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტები	კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით							
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
სპეციალობის ძირითადი კურსები			125	20	25	30	30	15	15	15	15
B10b1		მენეჯმენტის საფუძვლები	5		5						
B10b2		მარკეტინგის საფუძვლები	5			5					
B10b3		ბიზნესის საფუძვლები	5			5					
B10b4	B10b1	ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საფუძვლები	5			5					
B10b5	B10b1	კულტურის ეკონომიკა	5			5					
B10b6		კინოხელოვნების მენეჯმენტი	5			5					
Hfc-21	B10b1	კულტურული ტურიზმი	5			5					
B10b8		მარკეტინგი კულტურაში	5				5				
B10b9		საშემსრულებლო ხელოვნების მენეჯმენტი (თეატრი, მუსიკა, ქორეოგრაფია)	5				5				
B10b10	B10b1	სამუზეუმო და საარქივო საქმე	5				5				
B10b11	B10b1	საბიბლ. და საგამომც. საქმე	5				5				
B9cs15		მედიამენეჯმენტი	5				5				
B10b13	B10b1 B10b2	პროექტის მენეჯმენტი	5				5				
B10b14	B10b1 B10b5	შესავალი კულტურის პოლიტიკაში	5					5			
B10b15		კულტურის დაფინანსება	5					5			

B10b16		ლოგისტიკის საფუძვლები	5					5				
Hfc-22		ბიზნესის ეთიკა და საქმიანი ეტიკეტი	5						5			
Hfc-20		ადამ. რესურსების მართვისა და საქმის წარ. საფუძვლები	4						4			
B10b19		რეკლამა და სარეკლამო საქმის მართვა	5						5			
B10b20		საერთაშორისო ორგანიზაციები კულტურაში	5							5		
Hfc-16		სამართლებრივი აქტები კულტურის სფეროში	3							3		
B10b21		სტატისტიკის საფუძვლები	5							5		
B10b22		სოციოლოგიის საფუძვლები	3							3		
B10p		პრაქტიკა	5									5
B10b23		საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი	10									10
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები			40									
Hfc-1		შესავალი თეატრის ისტორიაში	5	5								
Hfc-2		შესავალი კინოს ისტორიაში	5	5								
Hfc-3		შესავალი სახვითი ხელოვნების ისტორიაში	5	5								
Hfc-4		შესავალი თანამედროვე აზროვნებაში	5		5							
Mfc-1		შესავალი მუსიკის ისტორიაში	5		5							
Afc-13		საოფისე კომპიუტერული პროგრამები	5	5								
Afc-14		მეტყველების კულტურა 5	5		5							
Hfc-5		შემოქმედების ფსიქოლოგია	5		5							
საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები			15	10	5							
ucBA1		აკადემიური წერა 1	5	5								
		ინგლისური ენა	5	5								
		ინგლისური ენა	5		5							
დამატებითი სპეციალობა - minor/არჩევითი ბლოკები/კურსები			60						15	15	15	15
სულ			240	30	30	30	30		30	29	31	30